საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №107
2015 წლის 2 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №117 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №117 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 13.07.2012 წ., 040030000.22.027.016329) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის:

ა) „ღ“ და „ყ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ) საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირის დადგენა/დადასტურება;

ყ) საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საკითხთა განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება;“

ბ) „ც“ და „ძ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ[1]" ქვეპუნქტი:

„ლ[1]) „უფლებამოსილია, მინისტრთან შეთანხმებით, ზეგანაკვეთური მუშაობისათვის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის, ან განსაკუთრებული მოცულობის სამუშაოსათვის, რომელიც აღემატება ჩვეულ სამსახურებრივ მოვალეობებს, თანამშრომლისთვის განსაზღვროს დამატებითი საზღაური (დანამატი).”.

3. 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„ა) საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების პროექტების მომზადება;“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. 24-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოქალაქეობის საკითხთა კომისიის მიზანია ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების საკითხთა გადაწყვეტის მხარდაჭერა.“;

ბ) მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის (გარდა საგამონაკლისო წესით მინიჭებისა) საჭირო ცოდნის დონის დადგენა;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების განხილვისას მოქალაქეობის მოპოვების მსურველი პირის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობის დადგენა.“;

გ) მე-3 პუნქტის:

გ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ.ბ) „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის დონის შესამოწმებლად ტესტების შედგენისა და ტესტირების ჩატარების უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების (გარდა საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების) მსურველ პირთა სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის დონის შემოწმება და შეფასება;

დ) სააგენტოს მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების საკითხის განხილვისას, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობის დადგენა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**